


სახელმწიფო დროშა და ჰიმნი

თანამედროვე სიმბოლიკა ისტორიული ფესვებით

(იაპონიის სახელმწიფო დროშა იაპონურად არის *ჰინომარუ*, ხოლო სახელმწიფო ჰიმნი - *კიმეიგაიო*)

სახელმწიფო დროშა

წითელი წრე განასახიერებს მზეს



ჰინომარუ - დროშის ვერტიკალურ-ჰორიზანტული თანაფარდობაა 2:3; დისკო მოთავსებულია ცენტრში, რომლის დიამეტრია ვერტიკალური აზომვის სამი მეხუთედი.

მოსაპოვებლად. *ჰინომარუს*, როგორც სამხედრო ინსიგნიის გამოყენება, ზუსტად ამ პერიოდში დაიწყო. ერთერთ ფერწერულ ტილოზე გამოსახულია 1600 წელს მომხდარი სეკიგაჰარას ბრძოლა, სადაც სამხედრო ძალების ბაირაღების ძირითად მოტივს შეადგენს *ჰინომარუ*. უნდა აღინიშნოს ის, რომ ზოგადად გავრცელებული იყო თეთრ ფონზე წითელი წრის გამოსახვა, მაგრამ ასევე გვხვდება უამრავი მაგალითი, როდესაც ოქროსფერ წრეს გამოსახავდნენ მუქ ლურჯ ფონზე.

მზის დისკოს გამოსახულებიანი დროშები შიოგუნთა ხომალდებზე

ჰინომარუ, როგორც სახელმწიფო სიმბოლო, გამოიყენებოდა საზღვარგარეთ მიმავალ სავაჭრო გემებზე XVI საუკუნის მიწურულს, ტოიოტომი ჰიდეიოშისა და XVII საუკუნის დასაწყისში, ტოკუგავა იეიასუს მიერ. ფერწერული ტიხარი XVII საუკუნის ქალაქ ედოდან (ამჟამინდელი ტოკიო) გამოსახავს *ჰინომარუ* დროშას, რომელიც გამოიყენებოდა შიოგუნთა ხომალდების სიმბოლოდ. *საკოკუს* პერიოდის ანუ “ეროვნული თვითიზოლაციის” (1639-1854 წწ.) დროს, ვაჭრობა

და სხვადასხვაგვარი ურთიერთობები აკრძალული იყო უცხო ქვეყნებთან, ჩინეთის, კორეისა და ჰოლანდიის გარდა, თუმცა როდესაც ტოკუგავას შიოგუნატმა 1854 წლის შემდეგ დაიწყო სავაჭრო ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნებთან (ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ჩათვლით), იაპონურმა სავაჭრო გემებმა განაახლეს *ჰინომარუ* დროშის გამოყენება.

1854 წელს ტოკუგავას შიოგუნატმა მიიღო შემოთავაზება შიმამუ ნარიაკირას (საცუმას სამფლობელოდან) მიერ, რის საფუძველადაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ იაპონური ხომალდები გამოიყენებდნენ *ჰინომარუ* დროშის ბაირალს თეთრი ფონით, რათა ადვილად გამოერჩიათ იაპონური გემები უცხოელთა ხომალდებისგან. *ჰინომარუ* დროშა ოფიციალურად გამოიფინა *კანრინმარუზე*, რომელიც 1860 წელს წარმოადგენდა იაპონიის ოფიციალური პირების ამერიკის შეერთებულ შტატებში გადამყვან გემს.

***ჰინომარუ*, როგორც თანამედროვე იაპონიის დროშა**

1868 წელს, ტოკუგავას ოჯახმა დაკარგა რა პოლიტიკური ძალაუფლება, ჩამოყალიბდა მეიჯის მთავრობა. უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს (*დაჯიოკან*) გადაწყვეტილებით, 1870 წლის 27 იანვარს *ჰინომარუ* ოფიციალურად გამოცხადდა იაპონიის დროშად, რომელიც უნდა გამოეყენებინათ სავაჭრო გემებზე.

1872 წელს, ერთი წლით ადრე, ვიდრე მთავრის კალენდარს ოფიციალურად ჩაენაცვლებოდა მზის კალენდარი, *ჰინომარუ* პირველად გამოფინეს სამთავრობო შენობებზე.

იმხანად ბევრ ჩვეულებრივ ოჯახსა თუ არასამთავრობო დაწესებულებას ჰქონდა ეროვნულ დღესასწაულებზე *ჰინომარუ* დროშის გამოფენის სურვილი. შემდგომ წლებში საჯაროდ გამოქვეყნდა რიგი განცხადებები და დოკუმენტები, რომელთაც განამტკიცეს *ჰინომარუს*, როგორც იაპონიის დროშის სიმბოლოს სტატუსი.

ეროვნული ჰიმნი

“კიმიაიო”-ს ტექსტი

იაპონიის ეროვნული ჰიმნის - *კიმიაიოს* ტექსტი ადებულია უძველესი ლექსიდან და იაპონურად სიტყვები შემდეგნაირად ჟღერს:

*კიმიაიო ვა
ჩიიო ნი იაჩიიო ნი
სამარე-იში ნო
ივაო ტო ნარიტე
კოკე ნო მუსუ მადე*

მთავრობამ პარლამენტში ქვეყნის ეროვნული ჰიმნისა და დროშის შესახებ კანონში ცვლილებების დროს წარმოადგინა *კიმიაიოს* ჰიმნის საკუთარი ინტერპრეტაცია. 1999 წლის 29

ივნისს გამართულ პარლამენტის წარმომადგენელთა პლენარულ სხდომაზე პრემიერმინისტრმა კეიძო ობუჩიმ განმარტა შემდეგი: "სიტყვა "კიმიგაიო"-ში კიმი აღნიშნავს იაპონიის არსებული კონსტიტუციით არჩეულ იმპერატორს, როგორც სახელმწიფოსა და ერის ერთიანობის სიმბოლოს, რომლის პოზიცია დაფუძნებულია მოქალაქეთა შეთანხმებულ სურვილზე. ხოლო "კიმიგაიო" ერთად აღნიშნავს ჩვენს სახელმწიფოს, რომელსაც ჰყავს ხალხის ნება-სურვილის განმახორციელებელი იმპერატორი, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს სუვერენული ძალაუფლების მესაჭესა და სახელმწიფოსა და ერის ერთიანობის სიმბოლოს. უპრიანი იქნება, თუკი ჰიმნის სიტყვათა მნიშვნელობას გავიგებთ, როგორც ლოცვას ჩვენი ქვეყნის დღეგრძელობისა და მშვიდობისათვის".

სამწუხაროდ, ცნობილი არ არის იმ პიროვნების სახელი, ვინც პირველად დაწერა ტექსტი იაპონიის ჰიმნისათვის. მისი ტექსტის სიტყვები გვხვდება ორ იაპონურ ანთოლოგიაში, რომელიც დაწერილია ისეთი პოეტური სტილით, როგორიცაა 31-მარცვლოვანი ვაკა, სახელდობრ, ესენია X საუკუნის *კოკინ-ვაკაშიუ* და XI საუკუნის *ვაკან-როეიშიუ*. ავტორი უცნობია.

თავიდანვე პოემას მხატვრულად კითხულობდნენ მნიშვნელოვანი ღონისძიებების აღსანიშნავად გამართული საზეიმო წვეულებებისა და ლხინის დროს. სიტყვებს ხშირად ჰარმონიულად უხამებდნენ სხვადასხვა ვოკალური ჟანრის მელოდიებს, ისეთს როგორიცაა *იოკიოკუ* (სუნგის ნაწილი ნოჰს წარმოდგენებიდან), *კოუტა* (პოპულარული სიმღერები *შიამისენის* აკომპანიმენტით), *ჯიორური* (დრამატული გალობით ამბის მოყოლა *შიამისენზე* დაკვრის თანხლებით), *საირეიკა* (სადღესასწაულო სიმღერები) და *ბივაუტა* (სიმღერა ბივას აკომპანიმენტით). იგივე სიტყვები გამოიყენებოდა ზღაპრებისა და სხვადასხვა ისტორიების თხრობისას, აგრეთვე, ედოს პერიოდის პოპულარულ მხატვრულ ნაწარმოებში, *უკიო-ძიოში* და *კიოკას* სატირულ კრებულში.

Words: Old poem (anonymous)
Music: Hayashi Hiromori



ki mi ga - yo - wa chi yo ni - - ya chi yo ni sa za re
i shi no i wa o to na ri te ko ke no mu - su - ma - - de

"კიმიგაიო"

„კიმიგაიოს“ მუსიკა

1868 წელს, მეიჯის პერიოდის დასაწყისისათვის, როდესაც იაპონიამ ჩამოყალიბება დაიწყო როგორც თანამედროვე ერმა, ჯერ კიდევ არ არსებობდა "ეროვნული ჰიმნი".

1869 წელს ბრიტანული სამხედრო მუსიკალური ბენდის ხელმძღვანელმა, ჯონ უილიამ ფენტონმა, რომელიც იოკოჰამაში მუშაობდა, გაიგო, რომ იაპონიას არ გააჩნდა ეროვნული ჰიმნი და იაპონურ სამხედრო ბენდს უამბო ბრიტანეთის ეროვნული ჰიმნის “ღმერთო იხსენი მეფეს” შესახებ. ფენტონმა ხაზი გაუსვა ეროვნული ჰიმნის აუცილებლობას და შესთავაზა მათ მუსიკის შექმნა თუ ვინმე ტექსტს შეურჩევდა ჰიმნისთვის.

ბენდმა, დირექტორთან სათანადო კონსულტაციის შემდგომ, თხოვა არტილერიის კაპიტან ოიამა ივასო (1824-1916 წწ.), რომელიც წარმოშობით გახლდათ ახლანდელი კაგოშიმას პრეფექტურიდან და კარგად ერკვეოდა იაპონიისა და ჩინეთის ისტორიასა და ლიტერატურაში, ჰიმნისათვის შესაფერისი სიტყვების შერჩევა. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით ოიამა სამხედრო მინისტრი და ფელდმარშალი გახდა.

ბენდმა თავის მიერ შექმნილი მუსიკა *კიმიგაიოს* სიტყვებს შეუხამა, რომელიც შეარჩია ოიამამ *ბივაუტადან*, სახელწოდებით *ჰორაისან* და ამის შედეგად შეიქმნა *კიმიგაიოს* ჰიმნი. ძველი მელოდია საკმაოდ განსხვავდებოდა დღევანდელისგან. ჰიმნი პირველად საჯაროდ შესრულდა სასულე ინსტრუმენტების თანხლებით, 1870 წელს გამართული სამხედრო აღლუმის დროს. მოგვიანებით აღინიშნა, რომ ჰიმნს აკლდა სადღესასწაულო განცდის შეგრძნება და შეთანხმდნენ, რომ საჭიროებდა ხელახალ გადახედვას.

1876 წელს საზღვაო ბენდის ხელმძღვანელმა ნაკამურა სუკეცუნემ სამხედრო-საზღვაო სამინისტროში წარადგინა წინადადება ჰიმნის მუსიკის შეცვლის შესახებ და ამ მოთხოვნაზე დაყრდნობით გადაწყდა, რომ ახალ მელოდიას უნდა აერეკლა საიმპერატორო კარზე წარმოდგენილი მელოდიური საგალობლების სტილი. 1880 წლის ივლისში შეიქმნა ოთხი კაცისგან შემდგარი კომისია მუსიკის გადასახედად. კომისიის წევრები იყვნენ: საზღვაო ბენდის ხელმძღვანელი ნაკამურა სუკეცუნე; არმიის ბენდის დირექტორი, იოცუმოტო იოშიტოიო; კარის გაგაკუს (იაპონური საიმპერატორო კარის მუსიკა) საშემსრულებლო ხელმძღვანელი, ჰაიაში ჰირომორი და სამხედრო კონტრაქტით მყოფი გერმანელი ინსტრუქტორი, ფრანც ეკერტი. საბოლოოდ არჩევანი შეჩერდა ჰაიაში ჰირომორის მიერ შექმნილ მელოდიაზე, რომელიც მოტივირებული იყო *გაგაკუს* ტრადიციებით. მას ეკერტმა გაუკეთა ოთხნაწილიანი ვოკალური არანჟირება და 1880 წლის 3 ნოემბერს იმპერატორის სასახლეში მეიჯი იმპერატორის დაბადების დღეზე პირველად გაჟღერდა ახალი ეროვნული ჰიმნი. ამგვარად, შეიქმნა *კიმიგაიო* ეროვნული ჰიმნი, რომელსაც დღესაც ვისმენთ.

ჰინომარუ და კიმიგაიო თანამედროვე იაპონიაში

დღეს *ჰინომარუ* დროშა გამოიფინება და *კიმიგაიო* ჰიმნი სრულდება ეროვნულ დღესასწაულებზე სხვადასხვა ცერემონიების დროს და აგრეთვე, უცხოელი სტუმრების მისაღებ ღონისძიებებზე. დამატებით უნდა აღინიშნოს ის, რომ იაპონელი მოქალაქეები ეროვნულ დღესასწაულებზე თავიანთი კარის წინ გამოფენენ ხოლმე *ჰინომარუ* დროშას. *კიმიგაიოს* მუსიკა ხშირად ჟღერს არაოფიციალური ღონისძიებების დროს, მაგალითად, საერთაშორისო სპორტულ თამაშებზე, სადაც იაპონელთა გუნდები არიან წარმოდგენილნი; სუმოს შეჯიბრებებზე,

რომელიც მიიჩნევა იაპონიის ეროვნული სპორტის სახეობად; ასევე, სახელმწიფო ჰიმნი ჩვეულებრივ სრულდება დაჯილდოვების ცერემონიების დაწყებამდე.

XX საუკუნის მიწურულს იაპონიის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია *ჰინომარუსა* და *კიმიგაიოს* შესახებ წერილობითი კანონის მიღება, რადგან მათი გამოყენება მანამდე ჩვეული პრაქტიკით ხდებოდა. 1999 წლის ივნისში პარლამენტში წარადგინეს დოკუმენტი *ჰინომარუსა* და *კიმიგაიოს* კოდიფიკაციისთვის. სახელმწიფო დროშისა და ეროვნული ჰიმნის შესახებ კანონი ძალაში შევიდა 1999 წლის 9 აგვისტოს.

იაპონური ეროვნული დღესასწაულები:

ახალი წელი (*განჯი ცუ*)- 1 იანვარი

აღნიშნება ახალი წლის დაწყება;

ასაკის დღე (*სეიჯინ ნო ჰი*) - იანვარის მეორე ორშაბათი

დღესასწაული დაწესებულია 20 წლამდე ახლგაზრდების საპატივსაცემოდ;

ეროვნული ფონდის დაარსების დღე (*კენკოკუ კინენ ნო ჰი*) - 11 თებერვალი

იაპონიის პირველი ლეგენდარული იმპერატორის ჯიმმუს მმართველობის დასაწყისი;

გაზაფხულის ბუნიაობა (*შიუნბუნ ნო ჰი*) - 21 მარტისთვის

ოჯახის თავმოყრისა და წინაპართა საფლავებზე გასვლის დღე;

შიოვას დღე (*შიოვა ნო ჰი*) - 29 აპრილი

ეს დღე ასახავს იმპერატორ შიოვას მმართველობის ბოლოქარ პერიოდს (1926-89წწ), ფიქრს მომავალ იაპონიაზე. ამ დღეს დაიბადა იმპერატორიო შიოვა;

კონსტიტუციის დღე (*კენპო კინენბი*) - 3 მაისი

1947 წლის 3 მაისს ძალაში შევიდა იაპონიის კონსტიტუცია;

მწვანე დღე (*მიდორი ნო ჰი*) - 4 მაისი

ბუნებით ტკბობისა და მადლიერების დღე - სულიერი თვალსაწიერის გასამდიდრებელი დღე;

ბავშვთა დღე (კოდომო ნო ჰი) - 5 მაისი

ბავშვების ჯანმრთელობისა და ბედნიერების დღე;

მეზღვაურთა დღე (უმი ნო ჰი) - ივლისის მესამე ორშაბათი

ზღვისადმი მადლიერების გამოხატვის დღე;

უფროსი ადამიანებისადმი პატივისცემის დღე (კეირო ნო ჰი) - სექტემბრის მესამე ორშაბათი

უფროსებისადმი პატივისცემის გამოხატვის დღე;

შემოდგომის ბუნიაობა (შიუბუნ ნო ჰი) - 23 სექტემბრისთვის

ოჯახის თავმოყრისა და წინაპართა საფლავებზე გასვლის დღე;

სპორტის დღე (ტაიიკუ ნო ჰი) - ოქტომბრის მეორე ორშაბათი

ეს დღე დაარსდა 1966 წელს, 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის გახსნის დღის აღსანიშნავად; აღიარებულია ჯანმრთელობისა და ფიზიკური მომზადების ხელშეწყობის დღედ;

კულტურის დღე (ბუნკა ნო ჰი) - 3 ნოემბერი

ამ დროს აღინიშნება იაპონიის კონსტიტუციის მიერ (საჯაროდ გამოცხადდა 1946 წლის 3 ნოემბერს) იდეალების, მშვიდობისა და თავისუფლების კულტურული ღონისძიებებით ხელშეწყობის დღე;

შრომის მადლიერების დღე (კინრო კანშია ნო ჰი) - 23 ნოემბერი

ეს დღე აღნიშნავს მადლიერებას შრომისა და კარგი მოსავლისთვის;

იმპერატორის დაბადების დღე (ტენო ტანჯიოში) - 23 დეკემბერი

1933 წლის 23 დეკემბერს დაიბადა იმპერატორი აკიჰიტო.